სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N1/161019/1

ქ. თბილისი **16 ოქტომბერი , 2019 წელი**

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის გიორგი გომარელის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ.№16, ს/კ 204525585, სახელმწიფო ხაზინა, კოდი # TRESGE22; ანგარიში/სახაზინო კოდი 70701

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ **შპს „მესხეთი“** (შემდგომში მიმწოდებელი), მისი დირექტორის ნუგზარ აღდგომელაძის სახით, მისამართი ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. №36, ტელ: 599 574 099 ს/კ 224066506, სს „ლიბერთი ბანკი“, **LIBRTGE22, GE72LB0113159119960000**

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

საფუძველი: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი და ლოჯისტიკისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს 2019 წლის 15 ოქტომბრის N 125612-21-02 მოხსენებითი ბარათი.

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემოსავლების სამსახურის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებით გზისთვის ვარგისიანობის ტესტირებისა და ტექნიკური ნებართვის გაცემის მომსახურების **(CPV71631200 - მომსახურებები მანქანა-დანადგარების ტექნიკური შემოწმების სფეროში)** შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების პერიოდულობის“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის N510 დადგენილების შესაბამისად, ტექნიკური რეგლამენტის „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების პერიოდულობის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N37, მასში შესული 2017 წლის 1 დეკემბრის N522 ცვლილების და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია:

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის ბალანსზე რიცხული 1 (ერთი) ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების N1 კატეგორიის ავტომობილის, გზისთვის ვარგისიანობის ტესტირებისა და ტექნიკური ნებართვის გაცემის მომსახურება (ტექ.დათვალიერება). (CPV კოდი: 71631200 - მომსახურებები მანქანა-დანადგარების ტექნიკური შემოწმების სფეროში);

2. ავტომობილის მარკა MITSUBISHI L200, სახელმწიფო ნომერი RS-824-GE, გამოშვების წელი 2013.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **60.00 (სამოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს** ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯებისა და გადასახადების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით. (ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალების (M1, N1) ტექნიკური ინსპექტირების მომსახურების ღირებულება შეადგენს 60.00 (სამოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს).

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1 მომსახურება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

3.2 გაცემული ნებართვა ძალაში უნდა იყოს **12** თვის ვადით.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

4.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

4.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

5.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარში.

5.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

6.1.2 შეამოწმოს მიწოდებული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1 შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა და დაიცვას ვადა ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.
6.2.2 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
6.2.3 უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაცემა შემსრულებლისთვის მასთან შეთანხმებულ ზუსტ დროს მომსახურების გასაწევად.
6.2.4 დაიცვას რიგითობა მომსახურების მისაღებად.
6.2.5 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
6.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
6.3.2 უარი უთხრას მომსახურების განხორციელებაზე დამკვეთს, იმ შემთხვევაში თუ კი დამკვეთის ავტოსატრანსპორტო საშუალება არ შეესაბამება დამკვეთის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას.
6.3.3 გადაავადოს ავტოსატრანსპორტო საშუალების შემოწმება გონივრული ვადით.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
6.4.1 შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა და დაიცვას ვადა ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.
6.4.2 მომსახურების გაწევა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ნებართვის გაცემის პერიოდში აღმოჩენილი ნებისმიერი ხარვეზი.
6.4.3 იყოს აკრედიტირებული და აკმაყოფილებდეს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის N511 დადგენილებას, კერძოდ ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას
7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2 ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
7.3 ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
7.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.05%-ის ოდენობით.
7.5 იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
8.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2020 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა
9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი
10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი.

12.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურებისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი: სსიპ „შემოსავლების სამსახური” REVENUE SERVICE Digitally signed by REVENUE SERVICE Date: 2019.10.16 19:17:38 +04'00' **გიორგი გომარელი** ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	**მიმწოდებელი:** **შპს „მესხეთი“** _____ **ნუგზარ აღდგომელაძე** დირექტორი